

გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი
Grigol Robakidze University

ხელნაწერის უფლებით
With the right of manuscript

ლანა ყურაშვილი
Lana Kurashvili

თანამშრომლობითი სკოლის კონცეფცია და
სახელმწიფო პოლიტიკა

The Concept of a Collaborative School and State Policy

საგანმანათლებლო პროგრამა: საჯარო მმართველობა
Educational programme: Public Administration

დისერტაცია წარდგენილია საჯარო მმართველობის
დოქტორის
აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად
Thesis is presented for obtaining of the PhD Degree in Public
Administration

რეზიუმე
Abstract

თბილისი
Tbilisi

2023

გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით

ლანა ყურაშვილი

თანამშრომლობითი სკოლის კონცეფცია და
სახელმწიფო პოლიტიკა

საგანმანათლებლო პროგრამა: საჯარო მმართველობა

დისერტაცია წარდგენილია საჯარო მმართველობის
დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

რეზიუმე

თბილისი

2023

გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი

მენიერ-ხელმძღვანელი:
მიხეილ გოგატიშვილი,
ფილოსოფიის დოქტორი,
პროფესორი

დისერტაციის დაცვის თარიღი გამოქვეყნდება
უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე www.gruni.edu.ge

დისერტაციის დაცვა შედგება გრიგოლ რობაქიძის
სახელობის უნივერსიტეტის საჯარო მმართველობისა
და პოლიტიკის სკოლის საატესტაციო - საექსპერტო
კომიტეტის სხდომაზე

დისერტაციის გაცნობა შესაძლებელია გრიგოლ
რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის
ბიბლიოთეკაში, თბილისი, ირინა ენუქიძის №3
(აღმაშენებლის ხეივანი მე-13 კმ)

სარჩევი

შესავალი.....	1
უცხოური სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა	3
ისტორიული განვითარება	3
დემოკრატია განათლებაში.....	4
ნეოლიბერალური მიდგომა განათლებაში.....	5
განათლების ფილოსოფია.....	6
განათლების პოლიტიკა	6
თანამშრომლობა	7
მშობელთა ჩართულობა.....	7
საერთაშორისო პრაქტიკის მიმოხილვა.....	8
ქართული საგანმანათლებლო სისტემის განვითარება.....	9
თეორიული ჩარჩო.....	12
კვლევის მეთოდოლოგია	14
კვლევის შედეგები, განსჯა და მეცნიერული მიგნებები	16
რეკომენდაციები	20
დასკვნა.....	26

შესავალი

ოცდამეერთე საუკუნეში დემოკრატიული საზოგადოების მშენებლობის და ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკის განვითარების პროცესში უმნიშვნელოვანესი როლი ენიჭება განათლებას. აღნიშნულიდან გამომდინარე, საზოგადოების მაღალი ინტერესი განათლების ხარისხთან დაკავშირებით და საგანმანათლებლო დაწესებულებების მხრიდან ანგარიშვალდებულების საკითხის აქტუალობა, უფრო და უფრო მეტად ხდება სამეცნიერო წრეების და გადაწყვეტილების მიმღებების ინტერესის საგანი. შესაბამისად, დღის წესრიგში დადგა დემოკრატიულ ღირებულებებზე დაფუძნებული სკოლის მართვის ახალი მოდელის შემოღების საკითხი, რომელიც უპასუხებდა საზოგადოებაში არსებულ მოთხოვნებს განათლების ხარისხის გაუმჯობესებასთან დაკავშირებით.

დემოკრატიულ სამყაროში განათლება სოციალური პროგრესისა და გარდაქმნის ფუნდამენტურ მეთოდად არის მიჩნეული. იგი სოციალურ ინსტიტუტად არის წარმოდგენილი, რომელიც საზოგადოებრივი ცხოვრების ფორმას წარმოადგენს (Dewey, 1916). განათლებაში დემოკრატიული ღირებულებების შემოსვლასთან ერთად ფეხი მოიკიდა ნეოლიბერალურმა და ჰოლისტური განათლების პრინციპებმა, რომელმაც მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა განათლების პოლიტიკაში და ფართომასშტაბიანი რეფორმების საფუძვლად იქცა. განხორციელდა საჯარო სკოლის მართვის სისტემის ცვლილება და ინტერესებულ პირთა მონაწილეობის, ანგარიშვალდებულებისა და სკოლისა და ოჯახის ურთიერთდამოკიდებულების პრინციპებზე დაფუძნებით. საჯარო სკოლის მართვაში მესამე მხარის შემოყვანით განხორციელდა ერთის მხრივ მშობელთათვის ძალაუფლების გადაცემა და მეორეს მხრივ, სასკოლო განათლებაზე

პასუხისმგებლობის გადანაწილება სახელმწიფოსა და დაინტერესებულ პირებს შორის.

წარმოდგენილი კვლევა შეისწავლის საჯარო სკოლის მართვის აღნიშნული მოდელის ქმედითობის საკითხს. მნიშვნელოვანი აქცენტი კეთდება ქართული კონტექსტის თავისებურებაზე, სადაც საგანმანათლებლო სისტემის განვითარება სავალდებულო, სახელმწიფო სასკოლო სისტემის ჩამოყალიბების მომენტიდან ქვეყნის დამოუკიდებლობამდე, დაკავშირებული იყო ცენტრალიზებულ, ავტორიტარულ და იდეოლოგიზირებულ საგანმანათლებლო სისტემებთან. მით უფრო, რომ ქვეყნის გათავისუფლების შემდეგ, საგანმანათლებლო სისტემის დემოკრატიულ პრინციპებზე მოწყობა რადიკალური და ფართომასშტაბიანი რეფორმებით განხორციელდა. საჯარო სკოლაში მართვის ახალი მოდელის ჩამოყალიბება სამეურვეო საბჭოების შექმნის, ვაუჩერული დაფინანსების შემოღების და დეცენტრალიზაციის პოლიტიკის მხარდაჭერით დაიწყო და მოიცავს განვითარების თხუთმეტწლიან პერიოდს.

კვლევის ვარაუდი მდგომარეობს შემდეგში, რომ განათლების სისტემაში დემოკრატიულ, ნეოლიბერალურ და ჰოლისტური განათლების ფილოსოფიურ-თეორიულ კონსტრუქტებზე დაფუძნებული მართვის თანამშრომლობითი მოდელი შეუსაბამოსაში მოდის სასკოლო სისტემაში არსებულ პრაქტიკასთან, სადაც თანამშრომლობითი სკოლის მართვის ეფექტურობა და ეფექტიანობა დაბალია. შესაბამისად, კვლევის ამოცანებად ჩამოყალიბდა საჯარო სკოლის მართვის არსებული მოდელის შესწავლა დაინტერესებულ პირთა მონაწილეობის, ანგარიშვალდებულებისა და ურთიერთდამოკიდებულების მიმართულებებით, სადაც მნიშვნელოვანი აქცენტი კეთდება სახელმწიფო პოლიტიკის ქმედითობაზე. წარმოდგენილი კვლევის მთავარი მიზანია, დადგინდეს ის საშუალებები, რომლითაც იქმნება საჯარო სასკოლო სისტემაში თანამშრომლობაზე დაფუძნებული მართვის ეფექტური და ეფექტიანი სისტემა.

უცხოური სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა

აღნიშნული კვლევის ფარგლებში, შესწავლილ იქნა თანამედროვე ფილოსოფიური ხედვები, სამეცნიერო მიგნებები და საერთაშორისო პრაქტიკა, ასევე, საკითხის სიღრმისეული ანალიზისთვის გამოკვლეულ იქნა ქართული საგანმანათლებლო სისტემის განვითარებასთან დაკავშირებული თავისებურებები.

ისტორიული განვითარება - წარმოდგენილი კვლევის ფარგლებში, უცხოური სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვის საერთო ამოცანა თანამშრომლობით პრინციპზე დაფუძნებული სკოლის მართვის ახალი მოდელისა და მისი მოქმედების არეალის დადგენა იყო. თავდაპირველად წარმოდგენილია სკოლის და ოჯახის დისპოზიციის ისტორიული განვითარება და სახელმწიფოსა და ოჯახს შორის ძალაუფლების განაწილება. აქცენტი კეთდება შვილების განათლებაში მშობლების ჩართულობაზე, რომ უძველესი პერიოდიდანვე, თუკი მშობლები იყვნენ შვილების განათლების ძირითადი წყარო, საზოგადოების განვითარებასთან ერთად, შეიქმნა სასკოლო განათლების კერები და ბავშვის განათლების საკითხი თანდათანობით გავიდა ოჯახის დაქვემდებარებიდან და გადაინაცვლა დარგის სპეციალისტთა, მასწავლებელთა მართვის არეალში. მოგვიანებით შვილების განათლებაზე მშობლების როლის ცვლილებაზე ზეგავლენა მოახდინა რელიგიური მიმდინარეობების გაჩენამ. რელიგიების აღმოცენებასთან ერთად განისაზღვრა საოჯახო აღზრდის საკითხები, შვილების ადგილი და მნიშვნელობა ოჯახში და მშობლების როლი და პასუხისმგებლობები, რომელიც რელიგიური შეხედულებების მიხედვით იყო ფორმირებული. საოჯახო, კერძო და რელიგიური განათლების პრაქტიკას მოჰყვა საყოველთაო, საჯარო, სასკოლო განათლების შემოღება. მნიშვნელოვან ეტაპად ითვლება მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ტექნოლოგიური და მეცნიერული ცვლილებების ეპოქა, როდესაც მშობლებმა გადასცეს შვილის განათლებასთან დაკავშირებული სადავეები სკოლას და სახელმწიფოს. ასევე,

ითვლება, რომ სწავლების პროფესიონალიზაციამ გამოიწვია სკოლასა და ოჯახს შორის არსებული ახლო კავშირის რღვევა (Adams & Christenson, 2000). აღნიშნული მდგომარეობა იმდენად გართულდა, რომ დიდ ბრიტანეთში 1966 წელს იყო შემთხვევები, როცა სკოლის საზღვარი ცარცით იყო შემოხაზული, რომლის იქით გადასვლა მშობლებს არ შეეძლოთ და ითვლებოდა, რომ მშობლებს და მასწავლებლებს სხვადასხვა საქმე ჰქონდათ გასაკეთებელი (Dom & Verhoeven, 2006). თუმცა, 1970-იანი წლებიდან სამეცნიერო წრეებში უკვე აქტიურად იწყება საერთაშორისო დებატები ოჯახი-სკოლის დისპოზიციის შესახებ.

დემოკრატია განათლებაში - სამეცნიერო სფეროში საკითხის შესწავლით გამოწვეული მაღალი ინტერესი დაკავშირებული იყო სასკოლო განათლებაში არსებული ხარვეზების გამოსასწორებლად საჭირო გზების მოძიების სურვილთან და მეორეს მხრივ, სასკოლო სისტემაში დემოკრატიული ღირებულებების დასამკვიდრებლად, რაც თავის მხრივ დემოკრატიული საზოგადოების მშენებლობის ქვაკუთხედს წარმოადგენდა. დემოკრატიულ საზოგადოებაში სკოლაც დემოკრატიულ პრინციპებზე უნდა ყოფილიყო მოწყობილი. შესაბამისად, განხორციელდა დემოკრატიული ღირებულებების საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრირება. ჯონ დიუის მიხედვით „სკოლების პატარა სამყარო უნდა ჰგავდეს საზოგადოების დიდ სამყაროს და ორივე უნდა იყოს დემოკრატიული“ (Dewey, 1916). განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდა მონაწილეობით დემოკრატის პრინციპებზე. კეროლ პეიტემანის მიხედვით, მონაწილეობითი დემოკრატია არის მაქსიმალური ჩართულობა, რომლის შედეგი არის არა მხოლოდ მიღებული გადაწყვეტილება, არამედ თითოეული ინდივიდის სოციალური და პოლიტიკური კაპიტალის განვითარება (Pateman, 1970). დევიდსონი და ელსტაბის მიხედვით, მოქალაქეების გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩართვა ხელს უწყობს აქტიური მოქალაქეების ჩამოყალიბებას და ზრდის მიღებული გადაწყვეტილების სანდოობას და ხარისხს, რომ მონაწილეობის უფლება ითვლება ადამიანის

ფუნდამენტურ სოციალურ უფლებად სამუშაო ადგილზე (Davidson & Elstub, 2014).

ნეოლიბერალური მიდგომა განათლებაში - ფუნდამენტური დემოკრატიული პრინციპის დამკვიდრებასთან ერთად, განხორციელდა სასკოლო სისტემის ნეოლიბერალური პრინციპების შესაბამისად მოწყობა. ნეოლიბერალური მიდგომით განათლების დაქვემდებარება მოხდა ეკონომიკურ ინტერესებზე და განათლებაში საბაზრო პრინციპების დამკვიდრება განხორციელდა. განათლებაში მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა არჩევნის თავისუფლების და მშობლის უფლებების ცნებებმა. სკოლებს და მასწავლებლებს ბრალდებოდათ, რომ ისინი არ აქცევდნენ ყურადღებას მშობლების ხმას, ვინაიდან იცოდნენ, რომ ისინი თავიანთ შვილებს ვერსად წაიყვანდნენ. აქედან გამომდინარე, ნეოლიბერალიზმა ვაუჩერული დაფინანსების სისტემის შემოღებით, მშობლებს მისცა სკოლის არჩევნის რეალური შანსი, როცა ვაუჩერული დაფინანსების პირობებში მშობლები აირჩევდნენ სწორედ იმ სკოლას, რომელიც უკეთესად დააკმაყოფილებდა მათი შვილების საგანმანათლებლო საჭიროებებს. მილტონ ფრიდმანი იყო ერთ-ერთი პირველი ამერიკელი ეკონომისტი, რომელიც მხარს უჭერდა განათლებაში ვაუჩერული სისტემის გამოყენებას და მიიჩნევდა, რომ საბაზრო წესების საშუალებით მოხდებოდა სკოლებში განათლების ხარისხის გაუმჯობესება. ნეოლიბერალური მიდგომით, მშობლებისთვის არჩევნის თავისუფლების მინიჭებასთან ერთად, საგანმანათლებლო დაწესებულების მხრიდან განისაზღვრა ანგარიშვალდებულების საკითხი, რომელიც მშობლების სკოლების მართვის საკითხში მონაწილეობით განხორციელდა. მესამე სექტორის მართვის საკითხებში ჩართვის მიზანი იყო იმის დადგენა, თუ რამდენად მიზანმიმართულად იხარჯებოდა სახელმწიფო თანხა (Roberston, 2007) და მშობლები ერთგვარი მაკონტროლებლის როლში გამოდიოდნენ.

განათლების ფილოსოფია - განათლების ფილოსოფიური სკოლებიც უერთდებიან დემოკრატიული და ნეოლიბერალური მიდგომებით გათვალისწინებულ ძირითად ღირებულებებს. ჯონ დიუის ფილოსოფიური ნაშრომით „დემოკრატია და განათლება“ პირველად განხორციელდა განათლებაში დემოკრატიულ ღირებულებების გადატანა. ჯონ დიუი ყურადღებას ამახვილებს გაზიარებულ საერთო ინტერესებზე და სამოქალაქო და სოციალურ ეფექტიანობაზე. დიუისთვის სამოქალაქო ეფექტიანობა, ანუ კარგი მოქალაქეობა არის ინდივიდის ძალების გააქტიურება პოლიტიკური თვალსაზრისით და მისი ჩართვა კანონშემოქმედებით პროცესებში, სოციალური ეფექტიანობა კი მოიცავს ყველაფერს, რაც გულისხმობს, რომ ერთი ადამიანის გამოცდილება გახდეს ღირებული მეორესთვის, და ადამიანებს ჰქონდეთ შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღონ სხვებისთვის ღირებულ გამოცდილებაში. განათლების მიზნებზე საუბრისას ფილოსოფოსი ჯონ დიუი პრობლემურ საკითხად აყენებს გარედან თავსმოხვეული მიზნების არსებობას - როცა მიზნები არ გამომდინარეობს საკუთარ გამოცდილებაზე აგებული თავისუფალი არჩევანიდან; და რომ მათი ნომინალური მიზნები სხვების დაფარულ მიზნებს უფრო ემსახურება, ვიდრე მათ საკუთარს. ინდივიდის, თემის, საზოგადოების, პლანეტისა და კოსმოსის ურთიერთდამოკიდებულების იდეა წარმოადგენს განათლებაში ჰოლისტური ფილოსოფიური ხედვის საფუძველს. ჰოლისტური განათლების ფილოსოფია არის განათლების პარადიგმა, რომელიც თავის თავში აერთინებს ჰუმანისტური განათლების იდეალისტურ იდეას სულიერ და ფილოსოფიურ იდეებთან და ეფუძნება სულიერების, ერთიანობის, ურთიერთდამოკიდებულების პრინციპებს თავისუფლების, ავტონომიისა და დემოკრატიის პრინციპებთან ერთად (Rudge, 2010).

განათლების პოლიტიკა - ზემოთ მოცემული ფილოსოფიური ხედვებისა თუ თეორიული შეხედულებების საფუძველზე განისაზღვრა საგანმანათლებლო პოლიტიკის სტრატეგიული მიმართულებები. დასავლეთის კაპიტალისტურ

საზოგადოებებში ნეოლიბერალიზმმა, რომელმაც „ახალი საჯარო მმართველობის“ პოლიტიკის საშუალებით, დაიკავა თავისი უპირატესი ადგილი, წინა პლანზე წამოწია ძალაუფლების ძალაუფლების განაწილების საკითხი. Lawson (2011) მიხედვით ძალაუფლების განაწილების პროცესი დასავლეთის კაპიტალისტურ საზოგადოებებში დაკავშირებულია თანამედროვე პოლიტიკურ დისკურსთან, სადაც დეცენტრალიზაცია, არჩევითობა, პროფესიონალიზმი და პასუხისმგებლობა არის საზოგადოების მართვის უმთავრესი ელემენტები გლობალიზაციის ეპოქაში. დღის წესრიგში დაისვა პასუხისმგებლობის გადანაწილების საკითხი, რაც მოითხოვს სახელმწიფოს, ბაზრის და სამოქალაქო საზოგადოების მხრიდან ერთად მოქმედებას (Hudson, 2007).

თანამშრომლობა - თანამშრომლობა ორგანიზაციული კვლევის და საჯარო ადმინისტრირების მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს (Everett&Jamal, 2004). Gray (1989) განსაზღვრავს თანამშრომლობას, როგორც პროცესს „რომლის დროსაც მხარეები, რომლებიც პრობლემის სხვადასხვა ასპექტს ხედავენ, კონსტრუქციულად წარმოადგენენ საკუთარ განსხვავებულ შეხედულებებს და ეძებენ პრობლემის გადაწყვეტის გზებს, რომელიც საკუთარი შეზღუდული ხედვის მიღმაა წარმოდგენილი“. Mattessich & Monsey (1992) მიერ შემუშავებული წარმატებული თანამშრომლობის მოდელი არის ერთ-ერთი ყველაზე ხშირად გამოყენებადი მოდელი თანამშრომლობის სფეროში, რომელიც მოიცავს თანამშრომლობის შვიდ ფაქტორს: კონტექსტი, წევრები, პროცესი და ორგანიზაცია, კომუნიკაცია, ფუნქცია, რესურსები და ლიდერობა.

მშობელთა ჩართულობა - მშობელთა ჩართულობის საკითხი მსოფლიოს მასშტაბით საგანმანათლებლო პოლიტიკისა და რეფორმების ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან საკითხად ითვლება, რომლის სიღრმისეული შესწავლა სამეცნიერო წრეებში 1970-იანი წლებიდან იწყება. სამეცნიერო კვლევების რაოდენობა და მასშტაბი იმდენად გაიზარდა რომ Castelli &

Pepe (2008) კვლევის შედეგად, 1966 წელს მშობელთა ჩართულობაზე დაწერილ ყოველ სტატიაზე 2007 წელს ოცდათხუთმეტი სტატია მოდიოდა. ჯოის ევშტენის მშობელთა ექვსი ტიპის ჩართულობის ჩარჩო არის მსოფლიოს სამეცნიერო სივრცეში ყველაზე ხშირად გამოყენებადი ინსტრუმენტი. აღნიშნული ჩარჩო მოიცავს ბავშვის აღზრდის, კომუნიკაციის, მოხალისეობის, შინ სწავლის, გადაწყვეტილების მიღების და თემთან თანამშრომლობის კომპონენტებს. ათწლეულების მანძილზე ჩატარებული სამეცნიერო კვლევებით დადასტურებულია მშობელთა ჩართულობის დადებითი გავლენა მოსწავლის აკადემიურ მოსწრებაზე და მის წარმატებებზე. ჰენდერსონი და მაფის 51 კვლევის ანალიზის შედეგად აღნიშნავენ, რომ არსებობს პოზიტიური და დამაჯერებელი კავშირი მშობელთა ჩართულობას და მოსწავლეთა სარგებელს შორის გაუმჯობესებული აკადემიური მოსწრების ჩათვლით (Henderson & Mapp, 2002). ჯეინისის 77 კვლევის (Jeynes, 2005) და ფანი და ჩენის 25 კვლევის მეტა-ანალიზის (Fan & Chen, 2001) შედეგად დადასტურებულია, რომ არსებობს პოზიტიური კავშირი ჩართულობასა და მოსწავლის აკადემიურ მიღწევებს შორის.

საერთაშორისო პრაქტიკის მიმოხილვა - ერთ-ერთი პირველი დოკუმენტი მშობელთა როლზე სკოლაში არის ამერიკის შეერთებულ შტატებში Coleman Report, 1966 და დიდ ბრიტანეთში, Plowden Report, 1967. მშობელთა ჩართულობის საკითხის აქტუალობა წარმოდგენილია შემდეგ ევროპულ და საერთაშორისო დოკუმენტებში: Commission Staff Working Paper, Schools for the 21st Century. Commission of the European Communities, 2007. Charter of the Rights and Responsibilities of Parents in Europe. European Parents' Association, 2008. Involve Parents, Improve School. Education, Audio-visual and Culture Executive Agency, 2009. How can we Make Schools Work Better? The World Bank, 2012. Parental Involvement in Selected PISA Countries and Economies. Organisation for Economic Cooperation and Development, Working Papers, No 73. 2012. ქვეყნების გამოცდილების მიმოხილვებიდან ირკვევა ქვეყნებს

შორის არსებული განსხვავებები და თავისებურებები თანამედროვე განათლების პოლიტიკის დაკვეთის განხორციელების პროცესში. განსხვავებები განპირობებულია, როგორც სოციო-კულტურული მახასიათებლებიდან, ასევე ქვეყნების პოლიტიკური სისტემებიდანაც.

ქართული საგანმანათლებლო სისტემის განვითარება

ქართული საგანმანათლებლო სისტემის განვითარების თავისებურება მნიშვნელოვნად გამოარჩევს აღნიშნულ კონტექსტს და სიღრმისეული შესწავლის საგანს წარმოადგენს. საქართველოში საჯარო განათლების სისტემა ჩამოყალიბდა ქვეყნის რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში ყოფნის პერიოდში. შესაბამისად, ქართული განათლების სისტემის ფორმირებაზე ზეგავლენა მოახდინა ცარიზმის რუსიფიკატორულმა პოლიტიკამ. აღნიშნულ პერიოდში ქართული ენის წინააღმდეგ მიმართულ რუსიფიკატორული პოლიტიკის წინააღმდეგ მნიშვნელოვანია ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მიერ განხორციელებული საქმიანობა. რუსეთის იმპერიაში მომხდარი რევოლუციის შემდეგ, 1918 წელს საქართველოში დამოუკიდებლობის გამოცხადებისთანავე ჩამოყალიბდა სახალხო განათლების სამინისტრო და დაიწყო აქტიური მუშაობა ასწლოვანი რუსიფიკატორული პოლიტიკის შედეგების ნიველირების, ეროვნული ფასეულობების დამკვიდრების, დემოკრატიული და ევროპული ღირებულებების დანერგვის მიმართულებით. დამოუკიდებლობის სამწლიან პერიოდში განხორციელდა უმნიშვნელოვანესი რეფორმები ქართული საგანმანათლებლო სისტემის ევროპულ ღირებულებებთან ინტეგრაციისთვის, სადაც აქცენტი კეთდებოდა გერმანიის საგანმანათლებლო სისტემაზე, მარია მონტესორის, ელენ პარკერსტის ე.წ. “დალტონ გეგმის“, ფრიდრიხ ფრებელის, ჯონ ლოკისა, ჟან-ჟაკ რუსოს და სხვა ევროპელ განმანათლებელთა შეხედულებებსა და თეორიებზე. შესაბამისად, ცარისტული სისტემისთვის

დამახასიათებელ მორჩილებს, ფიზიკური სასჯელის, ზეპირობის, მასწავლებელზე ორიენტირებულობის, ცხოვრებისგან მოწყვეტილი ცოდნის მიღებისა და ადამიანის ბუნების უგულვებელყოფის პრაქტიკას ქართველმა ხალხმა დაუპირისპირა ევროპული ღირებულებები პიროვნების თავისუფლების, დამოუკიდებლობის, თვითრეგულაცია - თვითაქტივობის, შემოქმედებითობის, მოტივირების, თამაშის მეთოდის, თანაგრძნობის, პიროვნებად ფორმირების, ცხოვრების რეალური გამოცდილებისა და მოსწავლეზე ორიენტირებული გარემოს შესახებ.

საქართველოს სამწლიანი თავისუფლების საბჭოთა კავშირის მარწუხებით შენაცვლებას მოჰყვა ქართული საგანმანათლებლო სისტემის განვითარების შეფერხება და საბჭოთა პოლიტიკურ რელსებზე გადასვლა. საბჭოთა ხელისუფლების პირობებში განათლების სისტემის რეფორმის ერთ-ერთი უმთავრესი მიზანი ახალი სოციალური წყობის შექმნა იყო. იდეოლოგიური ხედვის ირგვლივ მასების მობილიზაციისთვის სოციალისტურ საზოგადოებაში სკოლებს პოლიტიკური და ეკონომიკური ფუნქციები დაეკისრა. ოჯახი-სკოლის თანამშრომლობა ერთ-ერთ უმთავრეს მიმართულებად ცხადდებოდა, სადაც ჩართული იყო არა მხოლოდ სკოლა, ოჯახებთან თანამშრომლობის კონკრეტული პროგრამებით, არამედ ახალგაზრდული ორგანიზაციები და მთელი საზოგადოება. სკოლისა და ოჯახის მჭიდრო კომუნიკაციის დამკვიდრებული პრაქტიკა მასწავლებლებისა და ბავშვების კულტის შექმნის გზით, ცენტრალიზებული მართვის სისტემის ქვეშ და მასობრივი კონტროლის საშუალებით აღწევდა ხელისუფლების მიერ ახალი საზოგადოების შექმნის პროცესში განათლებისთვის დაკისრებული მისიის შესრულებას. სკოლისა და ოჯახის ერთიანობა მაღალი საზოგადოებრივი ჩართულობის გზით ახალი თაობის აღზრდისკენ მიმართულ ძლიერ იარაღად იქცა, რომლითაც მოხერხდა თაობებში კომუნისტური იდეოლოგიის დანერგვა და სახელმწიფო, პარტიული მიზნების განხორციელება.

საქართველოს საბჭოთა კავშირიდან გამოსვლის და დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ დაიწყო რეფორმების დიდი ტალღა, რომელიც მიმართული იყო ერთის მხრივ, საბჭოთა მემკვიდრეობის სრული აღმოფხვრისკენ და მეორეს მხრივ, დასავლურ ღირებულებებზე ორიენტირებისკენ. ცვლილებები განხორციელდა როგორც საკანონმდებლო ბაზის ევროპული საგანმანათლებლო სტანდარტებთან შესაბამისობის ურზუნველყოფის, ასევე, სისტემის ფინანსური და ადმინისტრაციული მოწყობის, სწავლა-სწავლების შინაარსისა და თეორიული მიდგომების ცვლილებების მიმართულებით. ზოგადი განათლების შესახებ 2005 წელს მიღებული კანონის მიხედვით მშობლებს მიენიჭათ არჩევნის თავისუფლება, შემოდებულ იქნა ვაუჩერული დაფინანსების სისტემა, რომლის საშუალებითაც მშობლებს შეეძლოთ აერჩიათ მათთვის სასურველი სკოლა. ასევე, შეიქმნა სამეურვეო საბჭოები და დაიწყო დეცენტრალიზებული საგანმანათლებლო სისტემის მიმართულებით მნიშვნელოვანი ნაბიჯების გადადგმა. საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში 2005 წელს ჩატარებული სამეურვეო საბჭოების პირველი არჩევნების შედეგად დაიწყო სკოლის მართვის ახალი მოდელის დამკვიდრება. სკოლის თვითმმართველობის უმაღლესი არჩევით ორგანოში დაცული იყო წარმომადგენლობის პრინციპი მასწავლებლების, მშობლების, მოსწავლეებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლების სახით. აღნიშნული ორგანოს შექმნით სრულად შეიცვალა სკოლის მართვის არსებული იერარქიული სისტემა და გადაწყვეტილების მიღების ფუნქციით ჩაერთო სკოლის მართვის უმნიშვნელოვანესი საკითხების გადაწყვეტაში. თუმცა, მოგვიანებით კანონში ზოგადი განათლების შესახებ განხორციელებული ცვლილებებით, ექსპერტების შეფასებით, მოხდა დეცენტრალიზაციის შესუსტება, სამინისტროს გაძლიერება და ცენტრალიზებულ მოდელზე დაბრუნება. საქართველოში მშობელთა ჩართულობის მიმართულებით განხორციელებული ადგილობრივი და საერთაშორისო კვლევებით და განათლების ექსპერტების შეფასებით, დღის


წესრიგში დგება აღნიშნული მიმართულებით ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში არსებული ხარვეზების შესახებ, ინფორმირებულობის ნაკლებობის, სკოლისა და ოჯახის დისტანცირების, უნდობლობის, დაბალი მოტივაციის, სასკოლო რესურსების ნაკლებობის, დროის უქონლობის, საკუთარი უფლება-მოვალეობების არცოდნისა და ზოგადად, სახელმწიფოში არათანმიმდევრული პოლიტიკის მიმართულებით. საქართველოში საგანმანათლებლო სისტემის რეფორმები მიმართულია დემოკრატიული ღირებულებების ინტეგრირებისკენ, თუმცა, აღნიშნული რეფორმების წარმატება-წარუმატებლობის შესახებ კითხვის ნიშნები საკმაოდ დიდია როგორც პროფესიულ წრეებში, ასევე მთელ საზოგადოებაში, რაც დასტურდება განათლების ხარისხთან დაკავშირებული საერთაშორისო კვლევების შედეგებითაც ქვეყნის მასშტაბით.

თეორიული ჩარჩო

კვლევის ფარგლებში გამოიყო ის ძირითადი თეორიები - დემოკრატიული, ნეოლიბერალური, ჰოლისტური განათლების, რომელიც საფუძვლად დაედო ცვლილებებს საგანმანათლებლო პოლიტიკაში. მართალია, სამეცნიერო წრეებში საკითხის შესწავლის პრაქტიკა ძირითადად წარმოდგენილია ცალ-ცალკე - დემოკრატიული ღირებულებების, ნეოლიბერალური მიდგომის და ჰოლისტური განათლების პრინციპებიდან გამომდინარე. თუმცა, ვინაიდან აღნიშნული თეორიები ურთიერთდაკავშირებულია და რიგ შემთხვევებში ერთმანეთისგან გამომდინარეც, მნიშვნელოვანია, განხორციელდეს სამივე თეორიული ბაზის ერთმანეთთან დაკავშირება და ერთიან ჭრილში წარმოდგენა, რაც საკითხთან მიმართებაში არსებული დივერსიფიცირებული მიდგომების გაერთიანების საშუალებას იძლევა, რომ მოხდეს საჯარო მართვასთან დაკავშირებული კომპლექსური საკითხების მთლიანობაში წარმოდგენა და აღნიშნულ თეორიული ჩარჩოს მიხედვით პოსტ-საბჭოთა ქვეყნის კონტექსტის შესწავლა კი

მნიშვნელოვანწილად გამოარჩევს წარმოდგენილ კვლევას სხვა მსგავსი კვლევებისგან.

დიაგრამა 1 - დემოკრატიული, ნეოლიბერალური და ჰოლისტური პრინციპების ურთიერთგადამკვეთი ჩარჩო



წარმოდგენილ მოდელში გამოსახული სამი წრე შეესაბამება დემოკრატიულ, ნეოლიბერალურ და ჰოლისტურ მიდგომებს, რომელთაგან: A წარმოადგენს დემოკრატიულ ღირებულებებს, B - ნეოლიბერალურს და C - ჰოლისტურს. ასევე წარმოდგენილია სამი წრის ერთმანეთთან გადამკვეთი წერტილები AB, BC და AC სახით და ბოლოს გამოკვეთილია

სამივე წრის ურთიერთგადამკვეთი წერტილი - ABC. შემუშავებულ თეორიულ ჩარჩოს მთავარი ცნებები გამოყოფილია დამოუკიდებელი, გადამკვეთი და ურთიერთგადამკვეთი ცნებების სახით. დამოუკიდებელ ცნებებად გამოიყო:

A - დემოკრატია - „სამოქალაქო პასუხისმგებლობა“

B - ნეოლიბერალიზმი - „ანგარიშვალდებულება“

C - ჰოლისტური განათლება - „ურთიერთდამოკიდებულება“

ერთმანეთის გადამკვეთ ცნებებად გამოიყო:

AB - დემოკრატია/ნეოლიბერალიზმი - „მოხალისეობა“

BC - ნეოლიბერალიზმი/ჰოლისტური განათლება - „არჩევნის თავისუფლება“

AC - დემოკრატია/ჰოლისტური განათლება - „გაზიარებულო/საერთო ინტერესები“

თეორიული ჩარჩოში სამივე თეორიის ურთიერთგადამკვეთ ცნებებად გამოიყო:

ABC-დემოკრატია/ნეოლიბერალიზმი/ჰოლისტური განათლება- „მონაწილეობითობა“

კვლევის საგნის ძირითად ცნებას წარმოადგენს თანამშრომლობა, რომელიც აერთიანებს მონაწილეობის, ანგარიშვალდებულების და ურთიერთდამოკიდებულების ცნებებს. თითოეული ზემოთ დასახელებული ცნება წარმოადგენს თანამედროვე პერიოდში საჯარო სკოლის მართვის განმსაზღვრელ უმთავრეს ელემენტს.

კვლევის მეთოდოლოგია

აღნიშნულ კვლევაში გამოყენებულ იქნა თვისებრივი კვლევა, შემთხვევის შესწავლის მეთოდი, დაკვირვების, ფოკუს-ჯგუფებისა და სიღრმისეულ ინტერვიუების ინსტრუმენტები. დოკუმენტების შესწავლისა და ისტორიული კვლევის საშუალებით გამოკვლეულ იქნა როგორც ქართულ საგანმანათლებლო სისტემის განვითარებაზე ზემოქმედი ფაქტორები, ასევე, თანამედროვე პერიოდში შემუშავებული საკანონმდებლო ბაზის მახასიათებლები. კვლევის ფარგლებში განხორციელდა რაოდენობრივი მონაცემების დამუშავება.

ტრიანგულაციის მეთოდის საშუალებით ერთმანეთთან შედარდა კვლევის სხვადასხვა ფაზების შედეგები და პრობლემა შესწავლილ იქნა სხვადასხვა პერსპექტივიდან, რამაც გააძლიერა მიღებული კვლევის შედეგების სარწმუნოება. მონაცემები დამუშავდა კონტენტ-ანალიზის და შესაბამისი პროგრამული საშუალებებით. კვლევის უშუალო ობიექტებად განისაზღვრა დედაქალაქის, ქალაქის, მთის და მაღალმთიანი რეგიონის საჯარო სკოლის დირექტორები, მასწავლებლები, მოსწავლეები, მშობლები და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები, ასევე, გადაწყვეტილების მიმღებები, პოლიტიკის შემქმნელები, განათლების ექსპერტები და დარგობრივი სპეციალისტები. კვლევის ინსტრუმენტად გამოყენებულ იქნა მსოფლიოს მასშტაბით ფართოდ გამოყენებული და სტანდარტიზებული მონაცემთა შეგროვების საშუალებები. საკვლევი საკითხის შესასწავლად კონცეფტუალური ჩარჩოებიდან და მოდელებიდან აქცენტი გაკეთდა მონაწილეობის მიმართულებით არნშტაინის მოდელზე „მონაწილეობის კიბე“, მშობელთა ჩართულობასთან მიმართებაში ჯოის ეფშტენის „მშობელთა ექვსი ტიპის ჩართულობის ჩარჩო“-ზე და თანამშრომლობის მიმართულებით, მატესიჩ და მონსეის მიერ შემუშავებულ წარმატებული თანამშრომლობის მოდელზე. წარმოდგენილი მოდელებიდან გამოიყო საკვლევი საკითხის შესაბამისი კომპონენტები და აღნიშნულ კომპონენტებზე დაფუძნებით, განხორციელდა კვლევის კითხვების ფორმულირება. კვლევის ხანგრძლივობა მოიცავდა ერთ სასწავლო წელს, რომლითაც მოხერხდა თითოეულ სამიხნე ჯგუფთან მუშაობისას სასკოლო საქმიანობის სრული ერთწლიანი ციკლი ყოფილიყო წარმოდგენილი, რომ ნათელი და ერთიანი სურათის დანახვა ყოფილიყო შესაძლებელი და არა ფრაგმენტული. კვლევის შეზღუდვას წარმოადგენდა მსოფლიო პანდემიის შედეგად შექმნილი ვითარება. აღნიშნული ვითარებით მოსალოდნელი შეფერხებების თავიდან აცილება განხორციელდა კვლევითი საქმიანობის ონლაინ ფორმატში გადატანით. ეთიკური მოთხოვნების დაცვის საკითხი გათვალისწინებულ იქნა ემპირიული კვლევის ყოველ ეტაპზე.

მხოლოდ შეთანხმებების, ნებართვების აღების, ინფორმირებულობის, მჭიდრო კომუნიკაციის, კონფიდენციალობის დაცვის, მაქსიმალური თავისუფლების, სანდო და კეთილგანწყობილ გარემო პირობებში მიმდინარეობდა კვლევის თითოეული ეტაპი.

კვლევის შედეგები, განსჯა და მეცნიერული მიგნებები

სამიზნე სკოლებში, თანამშრომლობის პრინციპებზე დაფუძნებული სკოლის მართვის დემოკრატიული მოდელის შესწავლის მიზნით, განხორციელდა დაკვირვებები, სამუშაო შეხვედრები, ფოკუს-ჯგუფები, სასკოლო დოკუმენტების შესწავლა და სიღრმისეული ინტერვიუები. აღნიშნული ინფორმაცია დაჯამდა, მოხდა სხვადასხვა წყაროდან მიღებული ინფორმაციის ურთიერთშედარება, საერთო და განმასხვავებელი ნიშნების გამოყოფა და შესაბამისი დასკვნების გამოტანა. თავდაპირველად იწყება ქართული საკანონმდებლო ბაზის ანალიზით, შემდეგ თანმიმდევრულად არის წარმოდგენილი კვლევის შედეგები მიღებული სამეურვეო საბჭოს წევრებისგან, სკოლის დირექტორებისგან, დარგობრივი სპეციალისტებისგან, განათლების ექსპერტებისგან და გადაწყვეტილების მიმღებებისგან.

კვლევის ფარგლებში სიღრმისეულ ინტერვიუებში მონაწილე რესპოდენტებთან გასაუბრება ორი კუთხიდან იქნა შესწავლილი ერთის მხრივ, პიროვნული, ინდივიდუალური და მეორეს მხრივ, ჯგუფის თვალთახედვიდან. განხორციელდა გასაუბრების შედეგად მიღებული ინფორმაციისა და დაკვირვების შედეგების ერთმანეთთან შეჯერება. ჩატარებული ემპირიული კვლევის შედეგები წარმოდგენილია თეორიულ ჩარჩოსა და კვლევის ინსტრუმენტებზე დაფუძნებით, რამდენიმე მსხვილი მიმართულებით, რომელიც დაჯგუფდა მომიჯნავე ცნებებიდან გამომდინარე. ესენია: მონაწილეობა/ძალაუფლების განაწილება, ანგარიშვალდებულება/არჩევნის თავისუფლება,

მოხალისეობა/სოციალური პასუხისმგებლობა, გაზიარებული ინტერესები/ურთიერთდამოკიდებულება და ცალკე თავად არის წარმოდგენილი ორგანიზაციული და პროცედურული საკითხები. აღნიშნული საკითხები შესწავლილ იქნა დამოკიდებულება-ქვევის და ქვევა-დამოკიდებულების ურთიერთკავშირის გათვალისწინებით და ვერბალურ-არავერბალურ სიგნალებზე დაკვირვების გზით, რომლითაც ინტერვიუს პროცესში ხდებოდა რესპოდენტისთვის დაფარული და უცნობი აღქმების გამოვლენა და შესწავლა, რაც მნიშვნელოვან გავლენას ახდენდა მაქსიმალურად რელევანტური და სანდო ინფორმაციის მიღებაზე.

მთავარი მიგნებები და აღმოჩენები:

- სკოლის მართვის ახალი მოდელის შემოტანა უკავშირდება გარედან თავსმოხვეული მიზნის ზემოდან ქვემოთ რეფორმის განხორციელებას და პოლიტიკური გადაწყვეტილების ხასიათს ატარებს, ვიდრე საჭიროებაზე დაფუძნებულ აუცილებლობას.
- საქართველოში, პოსტ-საბჭოთა ქვეყანაში, ერთი სისტემის სრულიად ახალი სისტემით შეცვლასთან დაკავშირებული რეფორმა ხასიათდებოდა ბუნდოვანებით, გაურკვეველობით, არათანმიმდევრული სტრატეგიით, ინფორმირებულობის ნაკლებობითა და თვითდინებაზე მიშვების პრაქტიკით.
- საქართველოს, როგორც პოსტ-საბჭოთა ქვეყნის საზოგადოების ცნობიერება - აღქმები, დამოკიდებულებები და ქვევა - კვლევის ფარგლებში გამოყოფილ ცნებებთან - მონაწილეობა, ანგარიშვალდებულება, გაზიარებული/საერთო ინტერესები, მოხალისეობა, არჩევნის თავისუფლება, სამოქალაქო პასუხისმგებლობა - მიმართებაში, შეუსაბამობაში მოდის თეორიებით გათვალისწინებულ შინაარსთან.
- ნეოლიბერალური საბაზრო პრინციპების შემოდება და ანგარიშვალდებულება, როგორც კონტროლის ფორმა

გამოკითხულებს შორის ნაკლებად მისაღებ ფორმად არის დასახელებული სკოლის მართვაში მონაწილე სუბიექტების მიერ და აქცენტი კეთდება დემოკრატიულ ცნებებზე სამოქალაქო პასუხისმგებლობის და ჰოლისტური განათლების ხედვებზე ერთიანობის, მთლიანობის და ურთიერთდამოკიდებულების შესახებ, რომლის საფუძველია ნდობა, ურთიერთპატივისცემა და თანამშრომლობა.

- სამეურვეო საბჭოში წარმოდგენილ მშობლები ნაკლებად გამოხატავენ ინტერესს სკოლის მართვასთან, ფინანსებთან და იურიდიულ საკითხებთან მიმართებაში. მათი რეალური ინტერესის საგანი უშუალოდ ბავშვების სწავლა-სწავლებასთან და დისციპლინასთან დაკავშირებული საკითხებია.
- სკოლის პოლიტიკაში ანგარიშვალდებულების საკითხი ფორმალურ, მექანიკურ ხასიათს ატარებს და ორმხრივი ანგარიშვალდებულების საკითხი საერთოდ არ არის წარმოდგენილი;
- სკოლის ხელმძღვანელთა მხრიდან აღიარებულია სამეურვეო საბჭოს ფიქტიური ადგილი სასკოლო ცხოვრებაში და გამოიკვეთა ორი სახის მიდგომა: ნაწილი დირექტორების ფორმალურ ურთიერთობებს ინარჩუნებს აღნიშნული ორგანოსთან თანამშრომლობისას, ნაწილი კი, ცდილობს საკუთარი რესურსით დაეხმაროს აღნიშნულ ორგანოს ამოქმედებაში.
- საბჭოს შემადგენლობიდან გამოიკვეთა მასწავლებელთა ძალაუფლების უპირატესობა ერთის მხრივ სკოლის, როგორც ინსტიტუციური მხარის წარმომადგენლის, მეტად კომპეტენტურობის და ასევე, საბჭოს შემადგენლობაში ყველაზე მეტი ვადით ყოფნის შედეგად, მაშინ, როცა, მოსწავლეები იცვლებიან ყოველწლიურად, მშობლები - შვილების მიერ სკოლის საფეხურის ცვლილებასთან ერთად, ხოლო ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები გამოიკვეთენ, როგორც უფუნქციო ორგანოს ყველაზე უფუნქციო წარმომადგენლებად.

- სკოლა-ოჯახის ურთიერდამოკიდებულების მიმართულებით მნიშვნელოვანი ცვლილებები გამოიკვეთა მსოფლიო პანდემიის შედეგად, როცა სკოლისა და ოჯახების დისტანცირების მრავალწლიანი პრობლემა, შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე შეიცვალა და სკოლებმა დაიხიეს უკან, ვინაიდან მათ მოუწიათ ოჯახებში „სტუმრობა“ საკუთარი მისიის შესასრულებლად და მშობლებმა კი მეტად დაინახეს სკოლის საქმიანობა, რომელიც მათთვის დაფარული და უცნობი იყო სკოლის კარჩაკეტილი ბუნებიდან გამომდინარე.
- მშობლების, მასწავლებლების და მოსწავლეების მზაობა სასკოლო საქმიანობაში ჩართულობასთან დაკავშირებით დაბალია; სკოლის მართვის არსებულ მოდელში ჩართულ სუბიექტთა კომპეტენტურობა, როგორც თემატური კუთხით, ასევე უნარ-ჩვევების მიმართულებით მნიშვნელოვნად დაბალია და ინდივიდუალურ რესურსებზეა დაფუძნებული.
- სახელმწიფო პოლიტიკა შესაბამისობაში მოდის მსოფლიოს მასშტაბით არსებულ მოთხოვნებთან საკანონმდებლო ბაზის მიმართულებით, თუმცა, განხორციელებული რეფორმის მექანიკური და ზედაპირული ხასიათის და თვითდინებაზე მიშვების გამო, მისი ქმედითობის ხარისხი იმდენად დაბალია, რომ როგორც დირექტორები, ასევე საბჭოს წევრები, განათლების ექსპერტები, დარგობრივი სპეციალისტები თუ გადაწყვეტილების მიმღებები ერთხმად აღიარებენ, რომ აღნიშნული რგოლი ფიქტიურ ხასიათს ატარებს სასკოლო ცხოვრებაში. დღის წესრიგში დგას საკანონმდებლო ბაზის დახვეწა-გაუმჯობესების საკითხი.

რეკომენდაციები

- განათლებაში მსხვილმასშტაბიანი რეფორმების განხორციელებისას, რომელიც გულისხმობს აზროვნების, რწმენის, დამოკიდებულების, აღქმისა და ქცევის უმთავრესი ელემენტების კომპლექსურ ერთიანობის ცვლილებებს საზოგადოებაში მნიშვნელოვანია, გათვალისწინებულ იქნას ცვლილებასთან დაკავშირებული მეცნიერული მიგნებები ცვლილებისადმი ადამიანის ბუნებრივი წინააღმდეგობისა და საზოგადოების კულტურული თავისებურებების შესახებ. აუცილებელია, განხორციელდეს ცვლილების არსის და მნიშვნელობის შესახებ საგანმანათლებლო სფეროს წარმომადგენლების ინფორმირება. ყველა მონაწილემ კარგად უნდა იცოდეს, რატომ ტარდება რეფორმა, რა არის მისი მიზანი, როგორ ხორციელდება იგი და ასევე, როგორია მისი წონა და მნიშვნელოვნება სხვა საგანმანათლებლო რეფორმებს შორის.
- პოლიტიკის განმსაზღვრელების მხრიდან მხარდაჭერის მნიშვნელობა ძალიან მაღალია, ვინაიდან, მართვის დემოკრატიული პრინციპების სასკოლო განათლების სისტემაში დანერგვა სახელმწიფო პოლიტიკის დაკვეთას წარმოადგენს, შესაბამისად, დამკვეთი უნდა იყოს დაინტერესებული მის მიერ ინიცირებული პოლიტიკის წარმატებით განხორციელებაზე. ნებისმიერი სისტემის მნიშვნელოვანი და მსხვილი მიმართულებების სამართავად თუ ზედამხედველობისთვის იქმნება ცალკეული საჯარო სამართლის იურიდიული პირები, სამსახურები, დეპარტამენტები თუ სამმართველოები, რომლებიც კურირებენ და მონიტორინგს უწევენ შესაბამისი სფეროების გამართულ მუშაობას. სკოლებში მენეჯმენტის ახალი მოდელის და მისი ერთ-ერთი მთავარი რგოლის, სამეურვეო საბჭოს გამართული მუშაობის უზრუნველყოფას ხელს შეუწყობს სისტემური ზედამხედველობის არსებობა, მანამ, სანამ სამოქალაქო

საზოგადოების მზაობა არ იქნება საკმარისად მაღალ დონეზე წარმოდგენილი.

- ცენტრალიზებული საგანმანათლებლო სისტემიდან დეცენტრალიზებულ სისტემაზე გადასვლა უმნიშვნელოვანესია. სკოლის მართვის წარმოდგენილი მოდელის ეფექტიანი და ეფექტური ფუნქციონირებისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ავტონომიურობა.
- სკოლის მართვის დემოკრატიული მოდელის განახლებისთვის მნიშვნელოვანია დივერსიფიცირებული მიდგომის დანერგვა. საკანონდებლო ბაზა უნდა იყოს მოქნილი, რომ სკოლებში ადგილობრივი საჭიროებებიდან გამომდინარე განხორციელდეს საჯარო სკოლის მართვის შესაბამისი მოდელის შერჩევა: შესაძლოა, სკოლაში, სადაც სამეურვეო საბჭოს მუშაობამ გაამართლა, დარჩეს აღნიშნული რგოლი გადაწყვეტილების მიმღების ფუნქციით, ხოლო, სადაც გადაწყვეტილების მიმღების ფუნქცია არ არის წარმოდგენილი, შესაძლოა, სამეურვეო საბჭოს ჰქონდეს მხოლოდ საკონსულტაციო ფუნქცია. ასევე, სკოლებში სადაც ბიუჯეტისა და ფინანსური მართვის საკითხები შესაძლოა, საერთოდ არ წარმოადგენდეს ინტერესის საგანს ან არ იყოს კომპეტენტურობის ხარისხი წარმოდგენილი, შესაძლებელია, სამეურვეო საბჭომ პრიორიტეტულ სამუშაო მიმართულებად განსაზღვროს სხვა საკითხები. იმ სოფლებსა და რაიონებში, სადაც მცირეკონტიგენტის სკოლებია წარმოდგენილი, რამდენიმე ათეული მოსწავლით, შესაძლოა, აღნიშნული სკოლებისთვის შეიქმნას ერთი სამეურვეო საბჭო, რომელიც განხორციელებს მის დაქვემდებარებაში შემავალი სკოლების მართვას.
- არსებული მოდელის ქმედითობის გაძლიერებისთვის შესაძლოა, განხორციელდეს საკანონმდებლო ცვლილებები - სამეურვეო საბჭოსთვის რეალური ძალაუფლების მინიჭება, საბჭოს მუშაობის დამოუკიდებლობის უზრუნველყოფა, ასევე, საბჭოს ფუნქციებთან, პროცედურებთან, ვადებთან და საქმისწარმოებასთან

დაკავშირებული საკითხების ნათლად და ცხადად გაწერა. საბჭოს ფუნქციებთან, პროცედურებთან და საქმისწარმოებასთან დაკავშირებით დამატებითი აქტებისა თუ ჩანაწერების შემუშავება. არჩევნებთან დაკავშირებული საკითხების რეგულირება მეტად ინფორმირებული და დემოკრატიული არჩევნების ჩასატარებლად.

- რეფორმის წარმატებისთვის აუცილებელია განხორციელდეს ადამიანების მხარდაჭერა კომპეტენციის განახლებაში ფუნდამენტური, სიღრმისეული, პიროვნულ ასპექტებზე მორგებული და ეტაპობრივი ტრენინგების საშუალებით. ტრენინგები საბჭოს ფუნქციურ საკითხებთან მიმართებაში და ასევე, უნარ-ჩვევების მიმართულებით. თვითგანვითარებისა და თვითრეალიზაციის შინაგანი მოთხოვნილებების რეალიზებით მოხდება საბჭოს წევრთა მოტივაციის გაძლიერება.
- ანგარიშვალდებულების საკითხის სამეურვეო საბჭოს წევრთა შორის გასაძლიერებლად, მნიშვნელოვანია, რომ სავალდებულოდ განისაზღვროს სკოლის თემის საკუთარი ამომრჩევლის წინაშე ანგარიშვალდებულების საკითხი. აღნიშნული ხელს შეუწყობს ანგარიშვალდებულების, როგორც დემოკრატიული ღირებულების სასკოლო სისტემაში ეფექტიანობის გაძლიერებას.
- მონაწილე მხარეების - მასწავლებლები, მშობლები, მოსწავლეები - ინტერესის გასაზრდელად მნიშვნელოვანია, შინაგან ჯილდოებზე ყურადღების გამახვილება. სასკოლო საზოგადოების მხრიდან აღიარება, დაფასება, მნიშვნელოვნების განცდა სტიმულს მისცემს საბჭოს წევრებს, რომ უფრო მეტად გაზარდონ საკუთარი ქმედითობა. ასევე, თუკი საბჭოს წევრობა იქნება დაფასებული სხვადასხვა სამსახურებში დამსაქმებელთა მხრიდან ვაკანტურ ადგილებზე გამოცხადებულ კონკურსების დროს, აღირებული პროფესიულ წრეებში თუ ზოგადად, საზოგადოებაში, გაიზრდება მონაწილეთა ენთუზიაზმი და სამუშაოთი კმაყოფილებაც.
- მოხალისეობრივი საქმიანობის წარმოების შედეგად მიღებული საერთო/საზოგადო კეთილდღეობის

მნიშვნელოვნების გაძლიერება საზოგადოებაში მეტად მნიშვნელოვანი ფაქტორია. უნდა განხორციელდეს სკოლიდანვე მოხალისეობრივი საქმიანობების მხარდაჭერა. მოხალისეობის საკითხი შესაძლოა, იქცეს სადამრიგებლო პროგრამების ნაწილი, რომლითაც მოხდება მოხალისეობრივის საქმიანობის კულტურის პოპულარიზება და მისი მხარდაჭერა.

- მნიშვნელოვანია, სკოლის დირექტორმა, საწყის ეტაპზე, კოლაბორაციული თანამშრომლობის გზით ხელი შეუწყოს საბჭოს მნიშვნელოვნების გაძლიერებას სასკოლო საზოგადოებაში და განახორციელოს ერთობლივი აქტივობები, სადაც დირექტორი და სამეურვეო საბჭოს წარმომადგენლები ერთად გამოჩნდებიან. აღნიშნული გააძლიერებს თემში ნდობას და პატივისცემასა და აღიარებას მოუტანს აღნიშნულ ორგანოს.
- სამეურვეო საბჭოს შემადგენლობასთან დაკავშირებით, შესაძლებელია, რომ შევიდეს გარკვეული ცვლილება და საბჭო დაკომპლექტდეს დარგის სპეციალისტებით, ექსპერტებით, პროფესორ-მასწავლებლებით, მეცნიერებითა და მკვლევარებით, ან აღნიშნულმა პირებმა მოახდინონ საბჭოს წევრების გადამზადება. მსგავსი პროფესიონალების ჩართულობა გაზრდის აღნიშნული ორგანოს რეპუტაციას საზოგადოებაში.
- არჩევნის თავისუფლებისა და მშობლების მინიჭებული ძალაუფლების შესახებ ინფორმირებულობის გასაზრდელად, მნიშვნელოვანია, რომ სასკოლო საზოგადოების რიტორიკის ნაწილი იყოს მშობელთა უფლებები, ასევე სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციების მხრიდან ექცეოდეს მეტი ყურადღება მშობლებისთვის გადაცემული ძალაუფლების შესახებ მშობლების ინფორმირების საკითხს.
- სკოლასა და ოჯახს შორის ურთიერთდამოკიდებულების საკითხი მნიშვნელოვან გავლენას ახდენს სკოლის მართვის ახალი მოდელის წარმატებულ ფუნქციონირებაზე. პანდემიის შედეგად სკოლასა და ოჯახს შორის დისპოზიციის ცვლილება უნდა შენარჩუნდეს. მშობლებმა

შეინარჩუნონ საკუთარი ძალაუფლება და სკოლამაც აღიაროს მშობლების ჩართულობის მნიშვნელობა. ორივე მხარის მხრიდან არსებული ძალაუფლებების აღიარების ფონზე, სკოლის პოლიტიკა უნდა იქნეს მიმართული თანამშრომლობითი კულტურის გაძლიერებისკენ.

- თანამშრომლობა სკოლის კულტურის ნაწილი უნდა იყოს, მათ შორის მართვის კომპონენტში. ვინაიდან დემოკრატიული მმართველობა სწორედ თანამშრომლობას ეფუძნება, თანამშრომლობა ყველაზე მთავარი ამოსავალი წერტილია ნებისმიერი დემოკრატიული ინიციატივის განსახორციელებლად. აღნიშნული კი მოითხოვს სკოლის კულტურის სრულ ტრანსფორმაციას.
- მშობელთა ასოციაციების, კლუბების, არასამთავრობო ორგანიზაციების თუ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების გააქტიურება როგორც სკოლის დემოკრატიული მართვის იდეის მხარდაჭერის, ასევე, აღნიშნული რგოლის გაძლიერების მიმართულებით, ტრენინგების, სამუშაო შეხვედრების, კონფერენციების, ვებინარების მოწყობისა და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის გაძლიერების საშუალებით.

კვლევის ფარგლებში შესწავლილი სამეცნიერო ლიტერატურისა და ემპირიული კვლევის მონაცემების შედეგად განხორციელდა საჯარო სკოლის მართვის თანამშრომლობის ჩარჩოს შექმნა. ჩარჩო დაეფუძნა დემოკრატიულ, ნეოლიბერალურ და ჰოლისტური განათლების პრინციპებს სკოლის მართვის საკითხში, საერთაშორისო სამეცნიერო გამოცდილებას და ქართული კონტექსტის შესწავლის შედეგად მიღებულ მონაცემებს. შემუშავებული მოდელი მოიცავს იმ აუცილებელ ღირებულებების, დამოკიდებულებების, უნარებისა და კომპეტენციის ჩამონათვალთა ერთიანობას, რომელიც მნიშვნელოვანია თანამშრომლობაზე დაფუძნებული სკოლის მართვის ქმედითობისა და ეფექტურობა-ეფექტიანობის მისაღწევად.

სკოლის მართვის თანამშრომლობის ჩარჩო



ზემოთმოცემული ჩარჩოთი განსაზღვრული ღირებულებების, დამოკიდებულებების, უნარ-ჩვევებისა და კომპეტენციის ერთიანობით მიიღება სკოლის მართვის მიმართულებით ეფექტური თანამშრომლობა, რაც თავის მხრივ, ხელს შეუწყობს, როგორც სამეურვეო საბჭოს ეფექტიანობა-ეფექტურობის გაძლიერებას, ასევე, წარმოდგენილ სასკოლო საზოგადოებაში დემოკრატიული ღირებულებების დამკვიდრებას. განათლებაში დემოკრატიული, ნეოლიბერალური და ჰოლისტური პრინციპების საფუძველზე შექმნილი თეორიების გაერთიანებით შესაძლებელი გახდება, რომ საკითხის მეცნიერული შესწავლიდან დაწყებული მისი პრაქტიკული განხორციელებით დამთავრებული, აღნიშნული მიდგომა იქნეს გამოყენებული, რათა ყურადღების მიღმა არ დარჩეს საჯარო მართვის თანამედროვე მოდელთან დაკავშირებული თეორიული ბაზისები. აღნიშნული კი ხელს შეუწყობს, რომ როგორც მეცნიერებმა, მკვლევარებმა, ასევე პრაქტიკოსებმა და გადაწყვეტილების მიმღებებმა საკუთარი მუშაობა დაგეგმონ წარმოდგენილი ღირებულებების გათვალისწინებით.

დასკვნა

კვლევის შედეგად შემუშავებული მიდგომა და საჯარო სკოლის მართვის თანამშრომლობის ჩარჩო აერთიანებს დემოკრატიულ, ნეოლიბერალურ და ჰოლისტური განათლების პრინციპებს. თანამშრომლობითი მართვის მოდელის საფუძველს წარმოადგენს მონაწილეობის, ურთიერთდამოკიდებულების, ანგარიშვალდებულების, სამოქალაქო პასუხისმგებლობის, მოხალისეობის, გაზიარებული ინტერესების და არჩევნის თავისუფლების ღირებულებები, რომლის უკან დგას კომპეტენტურობა, დაფასება, აღიარება, ურთიერთპატივისცემა და თვითფექტურობა. შემუშავებული თეორია თავის ადგილს მიუჩენს სასკოლო განათლებაში სკოლის მართვასთან დაკავშირებულ თანამშრომლობის კონცეფციის განვითარების საკითხს, გამოვლენილი თავისებურებების პოსტ-საბჭოთა კონტექსტში გათვალისწინების კუთხით და ხელს შეუწყობს კვლევის ფარგლებში გამოყოფილ კონცეპტებთან მიმართებაში სახელმწიფო რეფორმების მიზანმიმართულ ნაბიჯებს.

კვლევის ფარგლებში შემუშავებული მიდგომა, შესაძლოა, გამოყენებულ იქნას, არა მხოლოდ საბჭოთა მემკვიდრეობის საგანმანათლებლო სისტემებში სკოლის მართვის საკითხების გამოკვლევისას, არამედ სხვა სისტემასთან მიმართებაშიც, სადაც მართვასთან დაკავშირებული ახალი თეორიის ამოქმედება, ზემოდან ქვემოთ პოლიტიკის და გარედან თავსმოხვეული მიზნის პირობებში, კონტექსტისაგან მნიშვნელოვნად განსხვავებული მიდგომების პირობებში მექანიკური დამკვიდრებით ხორციელდება. მიღებული შედეგების ანალიზი ახალ კითხვებსაც წარმოშობს, რომლებიც კვლევების გაგრძელებას და ამ კითხვებზე პასუხების გაცემას მოითხოვს, თუ რამდენად არის შესაძლებელი ამ კვლევაში გამოყენებული მიდგომით შესწავლილ იქნეს სხვა ორგანიზაციების თანამშრომლობაზე დაფუძნებული მართვის საკითხები. რამდენად განზოგადებადია ამ კვლევის შედეგად შემუშავებული თანამშრომლობაზე დაფუძნებული მართვის ჩარჩო სხვა საჯარო ინსტიტუციებზე. აღნიშნულ კითხვებზე პასუხები თავის მხრივ, ჩატარებული კვლევის ღირებულებასა და მისი შედეგების მნიშვნელოვნებას აძლიერებს.

Grigol Robakidze University

With the right of manuscript

Lana Kurashvili

The Concept of a Collaborative School and State Policy

Educational programme: Public Administration

**Thesis is presented for obtaining of the PhD Degree in Public
Administration**

Abstract

Tbilisi

2023

Grigol Robakidze University

Scientific supervisor: **Mikheil Gogatishvili**

Doctor of Philosophy, Professor

The date of the defence will be published on the website of university:
www.gruni.edu.ge

